საქართველოს მთავრობის განკარგულება

N 1346 2016 წლის 7 ივლისი ქ. თბილისი

ახმეტის მუნიციპალიტეტის მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, ახმეტის მუნიციპალიტეტს მიეცეს უფლება, უხვთოვლიანობის და ხშირი წვიმების შედეგად დაზიანებული ახმეტის მუნიციპალიტეტის თუშეთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ომალოდან 5 მიმართულებით არსებული სოფლების: ომალო-დართლო-გირევის, ომალო-შენაქო-დიკლოს, ხისო-შტროლთა-ჟველურთა-ხახაბოს, ომალო-დოჭუ-ჯვარბოსელი-წოვათას, ილურთა-ვესტომთა-ვესტმოს დამაკავშირებელი გზების სავალი ნაწილების დამეწყრილი მონაკვეთების გაწმენდის და ახალი მონაკვეთების გაყვანის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ახმეტის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების შესაბამისად, 80 000 (ოთხმოცი ათასი) ლარის ფარგლებში.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი